საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს დირექტორის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

49/57

27/07/2022

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის "ი" და "ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. თანდართული სახით დამტკიცდეს:
ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შინაგანაწესი (დანართი №1);
ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების სამუშაო განრიგი (დანართი №2);
გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომელთა ჩაცმის ეტიკეტი (დანართი №3);
დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შინაგანაწესის გაცნობის დამადასტურებელი ხელწერილი (დანართი №4).
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართები წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - მომსახურების სააგენტო) მოსამსახურეთა (მათ შორის შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებული პირ(ებ)ის) შრომით - სამართლებრივი ურთიერთობის განუყოფელ ნაწილს და შესასრულებლად სავალდებულოა მომსახურების სააგენტოს ყველა მოსამსახურისათვის;

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს მომსახურების სააგენტოს ინსპექტირების სამმართველო, ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანების შესაბამისად. თუ მომსახურების სააგენტოს მოსამსახურე ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ასრულებს სრულად ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამონაკლისის დაწესება შესაძლებელია მომსახურების სააგენტოს დირექტორის თანხმობით, მომსახურების სააგენტოს მოსამსახურის წერილობითი (პატაკის/განცხადება) მიმართვის საფუძველზე.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" ს აჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 აპრილის №49/38 ბრძანება.

5. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მისამართზე: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. №10.

ბესიკ ტეფნაძე
საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს დირექტორი,
პოლიციის პოლკოვნიკი